





## რა უნდა ვიცოდეთ მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის შესახებ

საქართველოს მთავრობამ, 23 მარტს, მიიღო დადგენილება [D111111](#) კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში გასატარებელი საკარანტინო ღონისძიებების შესახებ [დადგენილება N 180](#)-ით დაადგინა მკაცრი საკარანტინო რეჟიმი მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში. კერძოდ, შეზღუდა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში შესვლა და გამოსვლა. მუნიციპალიტეტში შესვლის შეზღუდვა არ ეხება მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ/ფაქტობრივად მცხოვრებ პირებს.

დადგენილებით აიკრძალა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე გადაადგილება. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება:

- სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით გადაადგილებას;
- სურსათისა და ფარმაცევტული პროდუქტების შეძენის მიზნით გადაადგილებას;
- საქონლის შეძენის/მომსახურების მიღების/საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;

მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე აუცილებლობის შემთხვევაში, საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისათვის შეიზღუდოს საკუთრების უფლება და გამოყენებულ იქნეს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონება და მატერიალური საშუალებები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეცა უფლება, საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივი და სხვა მუნიციპალიტეტებიდან მოახდინოს შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირების მობილიზაცია მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

დეკრეტი ითვალისწინებს, საგანგებო მდგომარეობის დროს, წესების დარღვევისათვის შესაბამის სანქციებს, კერძოდ: ფიზიკური პირები, რომლებიც დაარღვევენ დეკრეტითა და

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, დაჯარიმდებიან 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირები 15 000 ლარის ოდენობით.

იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

**ფოტო რადიო თავისუფლება**